# ანგარიში

## ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

# შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი

2022 წელი

# სარჩევი

1. შესავალი ..... 3
1.1 ანგარიშის გაკეთების პრინციპები ..... 3
1.2 ანგარიშის შეფასების პრინციპები ..... 3
2. ინფორმაცია უსდ-ს შესახებ ..... 4
3. რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ..... 5
სტანდარტი 1. მისია და სტრატეგიული განვითარება ..... 10
1.1 უსდ-ს მისია ..... 10
1.2 სტრატეგიული განვითარება ..... 10
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ..... 11
2.2 შიდა ხარისხის მართვის მექანიზმები ..... 16
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ..... 16
სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები ..... 16
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი და შემუშავება ..... 16
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ..... 16
3.3 სასწავლო შედეგების შეფასება ..... 18
სტანდარტი 4. უსდ-ს პერონალი ..... 21
4.1 პერსონალის მართვა ..... 21
4.2 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა ..... 21
სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები ..... 24
5.1 სტუდენტთა სტატუსის მოპოვებისა და შეცვლის წესი, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები ..... 24
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები ..... 24
სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ..... 25
6.1 კვლევითი აქტივობები ..... 25
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ..... 29
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება ..... 29
სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ..... 30
7.1 მატერიალური რესურსები ..... 30
7.3 საინფორმაციო რესურსები ..... 33
7.3 ფინანსური რესურსები ..... 33
3. დანართები ..... 34

# 1. შესავალი

მოცემული დოკუმენტის მიზანია უსდ-ს მიერ ავტორიზაციის პროცესის შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენა. უსდ ანგარიშს წარმოადგენს ავტორიზაციის მიღებიდან 1 წლის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ავტორიზაციის პროცესის შედეგად მიღებული აქვს რეკომენდაციები. ანგარიშის წარდგენა უსდ-ს საშუალებას აძლევს შეაფასოს ის დადებითი შედეგები, რაც მოჰყვა ექსპერტთა მიერ განხორციელებულ ინსტიტუციურ შეფასებას და მათი რეკომენდაციების შესრულებას.

## 1.1 ანგარიშის მომზადების პრინციპები

ანგარიშში უსდ-მ უნდა ასახოს, თუ რა გზით შეეცადა იგი თითოეული რეკომენდაციის შესრულებას. ანგარიში მომზადებული უნდა იყოს სპეციალურად შემდგარი ჯგუფის მიერ (რომლის შემადგენლობაში ასევე იქნებიან სტუდენტები) და გაზიარებული უსდ-ს ფართო საზოგადოებაში. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს სანდო, არგუმენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული. დოკუმენტი უნდა პასუხობდეს რეკომენდაციების მოთხოვნებს და ასახავდეს რეკომენდაციების შესრულების პროგრესს - თუ რა ეტაპზეა უსდ კონკრეტული მიმართულებით. ანგარიშში უსდ-მ ასევე უნდა დაადასტუროს რომ თითოეული რეკომენდაციის შესრულების გზა/მეთოდი იყო ეფექტური. უსდ ანგარიშს ავსებს მხოლოდ იმ სტანდარტებთან/სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებაში, რომელშიც მას მიღებული აქვს რეკომენდაციები.

## 1.2 ანგარიშის შეფასების პრინციპები

უსდ-ს შეფასება ანგარიშის საფუძველზე ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიერ, 1.1 პუნქტში მოცემული პრინციპების მიხედვით. საბჭო ასევე ითვალისწინებს თუ როგორი იყო უსდ-ს მდგომარეობა წინა ავტორიზაციის პერიოდში, შესაბამის სტანდარტებთან მიმართებაში და თუ როგორი შედეგები აქვს დაწესებულებას თითოეული რეკომენდაციის შესრულების თვალსაზრისით. შესაბამისად, უსდ-ს შეფასება ანგარიშის საფუძველზე კარგი საშუალებაა უსდ-სათვის იმისათვის, რომ დაადგინოს თუ რა გაკეთდა წინა შეფასების შემდეგ; ხოლო, ამ შედეგების გაზიარებით თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის უსდ წაახალისებს თანამშრომელთა და სტუდენტთა მეტ ჩართულობას ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას ინსტიტუციაში. როგორც წესი, ყოველი ინსტიტუციური შეფასების შემდეგ მთავარი გამოწვევაა განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შენარჩუნება და მისი ინტეგრირება უსდ-ს ყოველდღიურ პრაქტიკაში. ანგარიშის მომზადება და წარდგენა კი უსდ-ს საშუალებას აძლევს მოახდინოს მის მიერ მიღწეული პროგრესის დემონსტრირება და მუდმივად იყოს ორიენტირებული განვითარებაზე.

## 2. ინფორმაცია უსდ-ს შესახებ

| | |
|---|---|
| **სახელწოდება** | **შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი**<br><br>**East European University LLC** |
| **ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა** | ☐ კოლეჯი<br>☐ სასწავლო უნივერსიტეტი<br>☒ **უნივერსიტეტი** |
| **ოფიციალური მისამართი** (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | 1. შატილის ქ. №4; ქ. თბილისი, 0178, საქართველო;<br>2. ირინა ენუქიძის ქ. №6; ; ქ. თბილისი, 0158; საქართველო. |
| **ვებ-გვერდი** | http://www.eeu.edu.ge |
| **ავტორიზაციის მიღების თარიღი** | 2021 წლის 2 ივნისი |
| **ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი** | MES 3 21 0000583081 |
| **ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი** | 2027 წლის 2 ივნისი |
| ხელმძღვანელი | **კახაბერ ლაზარაშვილი** - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი |
| ხელმძღვანელის ელ. ფოსტის მისამართი | k.lazarashvili@eeu.edu.ge |
| ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი | (+995) 555 958 899 |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | **თეა იმედაძე** - ვიცე-რექტორი |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელ. ფოსტის მისამართი | t.imedadze@eeu.edu.ge |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მობ. ტელეფონი | (+995) 577 553 338 |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი | **დავით ბოსტოღანაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელ. ფოსტის მისამართი | d.bostoghanashvili@eeu.edu.ge |

# 3. რეკომენდაციების შესრულების ანგარიში

## 3.1 სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და პროცესის აღწერა

აღწერეთ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც მუშაობდა რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადებაზე, მათი პასუხისმგებლობების სფეროები და მთლიანად რეკომენდაციების შესრულების პროცესის მიმდინარეობა:

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესი თანმიმდევრულად და მაღალი ჩართულობით წარიმართა.

პროცესი მოიცავდა ორ ძირითად ეტაპს:

**I ეტაპი** - განსაზღვრული რეკომენდაციების შინაარსის განხილვა საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან. რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, კომპეტენციის შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების მიერ მოსაზრებების წარმოდგენა რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

**II ეტაპი** - რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადებისათვის სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, ანგარიშზე მუშაობა და სრულყოფა.

რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესის კოორდინირებას უზრუნველყოფდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**I ეტაპი** :

უნივერისტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესის პირველ ეტაპზე განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე უზრუნველყოფილ იქნა განსაზღვრული რეკომენდაციების შინაარსის დეტალური განხილვა და მათი შესრულების შესაძლებლობებზე მსჯელობა.

შემაჯამებელ შეხვედრაზე, რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნა თითოეული რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი/ჩართული პირ(ებ)ის იდენტიფიცირება და განისაზღვრა მათ მიერ რეკომენდაციების შესრულების მიზნით მოსაზრებების და შედეგების წარმოდგენის ვადები.

რეკომენდაციების შესრულების პირველი ეტაპი მიმდინარეობდა 2021 წლის ივლისიდან - 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით.

აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა ინტენსიურ რეჟიმში, უნივერისტეტის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების მაღალი ჩართულობით. თანამშრომლობითი პროცესების შედეგად საფუძვლიანად იქნა შესწავლილი განსაზღვრული რეკომენდაციები და განხორციელდა სასარგებლო ინტერვენციები და აქტივობები რეკომენდაციების შესრულების კვალდაკვალ უნივერსიტეტში პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტში დანერგილი შიდა ხარისხის კულტურის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინტენსიურად ახდენდა რეკომენდაციების შესრულების პროცესში უკუკავშირს თითოეული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, რათა რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები თავსებადი ყოფილიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან. რეკომენდაციების

შესრულებისას  სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობდა  საერთაშორისო და ადგილობრივი კარგი პრაქტიკითა და შიდა შეფასებების შედეგებით.

**II ეტაპი** :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის  მომზადებისა და სრულყოფის პროცესი მიმდინარეობდა 2022 წლის იანვრიდან  მაისის  ჩათვლით. როგორც უკვე  აღინიშნა, მას წინ უძღვოდა საინფორმაციო  და  თემატური  შეხვედრები, რომელსაც  ესწრებოდა  უნივერსიტეტის  თითოეული ადმინისტრაციული  სტრუქტურული  და  საგანმანათლებლო  ერთეულების  წარმომადგენლები  და  ასევე, სტუდენტები.

ხარისხის  უზრუნველყოფის  სამსახურმა  დამსწრე  პირებს  გააცნო  ავტორიზაციის  ექსპერტთა  დასკვნაში მოცემული  რეკომენდაციების  შესრულების  თაობაზე  ანგარიშის  ფორმა,  მისი  მომზადების  პრინციპები,  ვადები, მათგან  უკუკავშირის  მექანიზმები  და  ფორმატი.

რეკომენდაციების  შესრულების  ანგარიშის  მომზადების  პროცესის  თანმიმდევრულობისა  და  ეფექტურობის  უზრუნველსაყოფად,  უნივერსიტეტის  რექტორის  მოვალეობის  შემსრულებლის  ბრძანებით  შეიქმნა  სამუშაო ჯგუფი,  რომელსაც  დაევალა  აღმოსავლეთ  ევროპის  უნივერსიტეტის  ავტორიზაციის  ექსპერტთა  დასკვნაში  მოცემული  რეკომენდაციების  შესრულების  თაობაზე  ანგარიშის  ფორმის  შევსება,  ინფორმაციის  დამუშავება  და  სრულყოფა.

ჯგუფის  წევრებს  შორის  პასუხისმგებლობა  შესასრულებელი  რეკომენდაციების  მიხედვით  შემდეგნაირად  გადანაწილდა:

**რეკომენდაცია  1.2**

- **თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით** - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,  ხარისხის  უზრუნველყოფის  სამსახური,  სტრუქტურული  და  საგანმანათლებლო  ერთეულები, სტუდენტი

**რეკომენდაცია  2.1.**

- **EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განაცხადების შეტანაში** - ვიცე-რექტორი საერთაშორისო და ადმინისტრაციულ  საკითხებში,  ფაკულტეტები,  სამეცნიერო  კვლევებისა  და  განვითარების  დეპარტამენტი. საფინანსო  და  მატერიალური  რესურსების  მართვის  დეპარტამენტი.
- **რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე** - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, განათლების დეპარტამენტი, ენების ცენტრი.

**რეკომენდაცია  3.2.**

- **უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანხვედრა** - ჯანდაცვის  მეცნიერებათა  ფაკულტეტი,  ვიცე-რექტორი  აკადემიური  პროგრამების  განვითარების  საკითხებში,  საგანმანათლებლო  პროგრამის  კომიტეტი,  ხარისხის  უზრუნველყოფის  სამსახური, სტუდენტები

**რეკომენდაცია 3.3**

- **განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.**
- **განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შექვს რაიმე წვლილი კონკრეტულ კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.**
- **სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.**
- **OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული.**

- ვიცე-რექტორი აკადემიური პროგრამების განვითარების საკითხებში, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები

**რეკომენდაცია 4.2.**

- **გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის** - ვიცე-რექტორი საერთაშორისო და ადმინისტრაციულ საკითხებში, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ფაკულტეტები

**რეკომენდაცია 6.1.**

- **უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული პერსონალი კვლევაში;**
- **შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.**
- **გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.**
- **უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.**

- ვიცე-რექტორი სამეცნიერო საკითხებში, ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, ფაკულტეტები, განათლების დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, სტუდენტი

**რეკომენდაცია 7.1.**

- **უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.**
- **უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება.**
- ვიცე - რექტორი საფინანსო და IT მართვის საკითხებში. საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტი.

**რეკომენდაცია 7.2.**

- **უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა.**
  - ბიბლიოთეკა, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

**რეკომენდაცია 7.4.**

- **სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად -** ვიცე - რექტორი საფინანსო და IT მართვის საკითხებში. საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

**რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შესაბამისი ნაწილების მომზადება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენა:**

ზემოთ დასახელებული თითოეული რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ერთეულები/პირ(ებ)ი რეკომენდაციების შესრულების აღწერას უზრუნველყოფდნენ სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებული აქტივობების განხორციელების შედეგების ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის კონტექსტში.

შესრულებული რეკომენდაციის აღწერა და შეფასება ხორციელდებოდა რეკომენდაციის შინაარსთან კორელაციაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, მათთვის ინფორმაციის გაზიარებისა და განხილვის პროცესის საშუალებით.

სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდნენ: უნივერისტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, ფაკულტეტებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. პროცესში აქტიურად იყო ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებდა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კონსულტაციებს, განმარტავდა რეკომენდაციების შინაარს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან ბმაში.

სტრუქტურული ერთეულების/პასუხისმგებელი პირების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შესაბამისი ნაწილების განხილვა ხდებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე. ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და პოზიციების ასახვის მიზნით.

სტრუქტურული ერთეულების მიერ წინასწარ განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად, ანგარიშის მომზადების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის პირველადი ვერსია.

**რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის რედაქტირება, სრულყოფა და საბოლოო სახით ჩამოყალიბება**

რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ მოწოდებული მოსაზრებებისა და კომენტარების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა კონსოლიდირებული ანგარიში. ასევე, უზრუნველყოფილი იქნა შესაბამისი დანართების მობილიზება, რომელიც განხილულ იქნა ანგარიშზე დასართავ მტკიცებულებად.

რეკომენდაციების შესრულების კონსოლიდირებული ანგარიში, მისი სრულყოფის მიზნით წარედგინა სამუშაო ჯგუფს. მიღებული შენიშვნები, მოსაზრებები და კომენტარები განხილული იქნა ჯგუფის შეხვედრაზე, წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე მოხდა ანგარიშის რედაქტირება, სრულყოფა და მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება. რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარედგინა წარმომადგენლობით საბჭოს.

## 3.2 რეკომენდაციების ჩამონათვალი

**რეკომენდაციები**

**1.2**

- თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით.

**2.1**

- EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განაცხადების შეტანაში.
- რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე.

**3.2**

- უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანახვედრა.

**3.3**

- განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.
- განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შეაქვს რაიმე წვლილი კონკრეტულ კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.
- სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.
- OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული.

**4.2**

- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის.

**6.1**

- უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული პერსონალი კვლევაში.
- შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.
- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.
- უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.

**7.1**

- უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება.

**7.2**

- უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა.

**7.4**

- სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად;

# სტანდარტი 1. მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1 უსდ-ს მისია

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

## 1.2 სტრატეგიული განვითარება

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **1.2. თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **1.2. თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით.**<br><br>უნივერსიტეტში დანერგილია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშგების წარმოების კულტურა და მასზე დაფუძნებით ხდება როგორც ცვლილებების შეტანა, ასევე ახალი გეგმის შემუშავება. რეკომენდაციების შესრულების მიზნებისათვის ახალ სამწლიან სამოქმედო გეგმის პრეამბულაში მოხსენიებულია ზემოთ აღნიშნული მონიტორინგის შედეგები და ასევე მითითებულია, რომ სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ანაგარიშზე დაფუძნებით.<br><br>ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გაზიარებული იქნა და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ასახული იქნა აღნიშნულ სამწლიან გეგმაში.<br><br>უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკის საფუძველზე და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული გეგმით დასახული სამიზნე ნიშნულების მიღწევას და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ეფექტიან და გეგმარებაზე დამყარებულ სამუშაო სისტემის ჩამოყალიბებას.<br><br>ახალი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მთლიანად ეფუძნება დემინგის PDCA ციკლს და მისი ეფექტიანად წარმართვის მიზნით, უნივერისტეტში დანერგილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შეფასებისა და ანგარიშგების კულტურა. ასევე, ამ პროცესში გამოიყენება უნივერსიტეტში განხორციელებული გარე და შიდა შეფასებების შედეგებიც.<br><br>უნივერსიტეტში ტარდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორი, რომლის ფარგლებში ფასდება:<br>• შესრულდა თუ არა საანგარიშო წელს დაგეგმილი სამუშაოები;<br>• ვლინდება სუსტი მხარეები, რისკები და საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში),<br>• იზომება სამი წლის ჭრილში დამდგარი შედეგების ეფექტიანობა სამიზნე ნიშნულებით. |

| |
|---|
| შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია წინა გეგმის ამსახველი მიღწევები და წარუმატებლობები; გეგმას თან ახლავს მონიტორინგის ანგარიში. |
| **მტკიცებულებები** |
| • **სამოქმედო გეგმა 2022-2024 და მონიტორინგის ანგარიში (დანართი 1.2.1)** |

## სტანდარტი 2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

### 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| • **2.1.1. EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განცხადების შეტანაში.**<br>• **2.1.2. რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **2.1.1. EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განცხადების შეტანაში.**<br><br>პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში დეკლარირებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიაში. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტია და სამოქმედო გეგმისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.<br><br>აღსანიშნავია, რომ ამავე სტანდარტში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად დასახელდა „უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის მთელი პროცესი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით (მობილობა, პროექტები, პარტნიორობა, გაცვლითი პროგრამები).“ EEU განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა და ინტენსიურად აგრძელებს მუშაობას უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის განვითარებისა და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის განვითარებით მიმართულებით.<br><br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტების რეკომენდაციას, რომ სასურველია კვლავ გაგრძელდეს და გაფართოვდეს აკადემიური პერსონალის მობილობის ფინანსური მხარდაჭერა და მათი დახმარება საერთაშორისო პროექტებზე განაცხადების შეტანის მიმართულებით. ცხადია, ეს უწყვეტი პროცესია და ამ მიმართულების განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად საჭიროა.<br><br>შესაბამისად, როგორც ზემოთ აღნიშნულია, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობის ზრდის მიმართულებით, რისთვისაც იყენებს შემდეგ მექანიზმებს: საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება; საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა; საერთაშორისო |

გამოცემებში პერსონალის გამოქვეყნებების მხარდაჭერა; საერთაშორისო პარტნიორებთან სამეცნიერო-კველევითი პროექტების განხორციელების მხარდაჭერა.

უნივერსიტეტში ხშირად იმართება საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მიმდინარე შეთავაზებების შესახებ. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი მუდმივად ამუშავებს და აწვდის პერსონალს ინფორმაციას სხვადასხვა სტიპენდიების, საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების, კონფერენციებისა და სხვა შესაძლებლობების შესახებ. 2021 წლის აპრილიდან დღემდე აკადემიური პერსონალისთვის ინფორმაცია გამოქვეყნდა ათზე მეტ სასტიპენდიო/ საერთაშორისო პროგრამისა თუ სხვადასხვა აქტივობის შესახებ **(იხ. დანართის N 2.1.1.1).** უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი დაინტერესებულ პერსონალს ასევე სთავაზობს კონსულტაციასა და მხარდაჭერის სერვისს პროექტებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი.

ამასთანავე, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პარტნიორული ქსელის გაფართოვებასა და აკადემიური პერსონალისთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზებაზე, რისთვისაც არაერთ აქტივობას ახორციელებს. უნივერსიტეტი 2021 წლის აპრილიდან (ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტიდან) დღემდე გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მათ შორის, გახდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს (EUA-CDE) წევრი (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/eua-cde/); EEU პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც გახდა ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემია – Advance HE-ის სრული წევრი (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/advancehe/). Advance HE შესანიშნავ შესაძლებლობებს აძლევს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პერსონალს მიიღოს წვდომა მსოფლიოში წამყვან სერვისებზე, გაიზიაროს საუკეთესო პრაქტიკა, მიიღოს მონაწილეობა ერთობლივ პროექტებში, ღონისძიებებსა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებში. ასევე, უზრუნველყოფს უნიკალურ შესაძლებლობებს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო აღიარებისთვის (Associate, Senior, Principal, Fellowship of HEA).

უნივერსიტეტში მიმდინარე წლის მაისში დაიწყო 3-თვიანი ტრენინგების ციკლი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც ხორციელდება სწორედ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემიის Advance HE (იხ. ბმული: https://www.advance-he.ac.uk/) მხარდაჭერით. ტრენინგს ატარებს Advance HE-ის წევრი და შემფასებელი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი საიკო სანიანგი. ტრენინგის წარმატებით გავლის შემდეგ აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვს განაცხადი გააკეთოს დიდი ბრიტანეთის უმაღლესი აკადემიის წევრობაზე (Fellowship of HEA, დეტალები იხ. ბმულზე: https://www.advance-he.ac.uk/fellowship). გაწევრიანების პროცესში პერსონალს სრულ მხარდაჭერასა გაუწევს უნივერსიტეტი.

გარდა ორგანიზაციებისა, 2021 წლის აპრილიდან დღემდე გაფართოვდა EEU პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელი. ამ პერიოდში გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება 8 საერთაშორისო უნივერსიტეტთან (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/universities/):

1. ვარშავის ბოლესლავ პრუსის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტი (WWSH), პოლონეთი;
2. კალიფორნიის ბაბტისტური უნივერსიტეტი CBU, აშშ;
3. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCL) განათლების ინსტიტუტი, დიდი ბრიტანეთი;
4. ასფენდიაროვის სახელობის ყაზახეთის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი, ყაზახეთი;
5. ეროვნული ავიაციის უნივერსიტეტი, უკრაინა;
6. კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტი, პოლონეთი;
7. საერთაშორისო მედიცინის სკოლა, უზბეკეთი;

8. ერევნის ჰაიბუსაკი უნივერსიტეტი, სომხეთი.

მათთან თანამშრომლობა ითვალისწინებს პერსონალის გაცვლას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო და სასწავლო რესურსების გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას. ეს, რა თქმა უნდა, დამატებით შესაძლებლობებს ქმნის უნივერსიტეტის პერსონალისთვის.

ამასთანავე, 2022 წლის თებერვალში EEU-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან (ნიქოზიის უნივერსიტეტი (კვიპროსი), ტუშას უნივერსიტეტი (იტალია) თანამშრომლობით წარდგენილ იქნა განაცხადები ERASMUS+ ICM Key Action 171- ის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის მობილობას პარტნიორ უნივერსიტეტებში. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი განაცხადები წარმატებული იქნება და პერსონალი შეძლებს ERASMUS+ - ის დაფინანსებით მობილობით გამგზავრებას დასახელებულ უნივერსიტეტებში.
პერსონალის განვითარებაზე ზრუნვის მიმართულებით, უნდა აღინიშნოს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯსა (UCL) და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს (EEU) შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული ტრენინგ-კურსი ,,დოქტორანტების ხელმძღვანელობა: მოლოდინები, გამოწვევები და პრაქტიკა'' (აპრილი - ივნისი 2021 წელი) (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/ucl/). ტრენინგს უძღვებოდნენ პროფესორი მარია კამბოური (ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCL) განათლების ინსტიტუტი) და პროფესორი დენის ჰავკესი (UCL) (გრინვიჩის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი); ტრენინგ-კურსის მიზანი იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გადამზადება სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობასა და პროფესიული დოქტორანტურის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში გაზიარებული იქნა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCL) გამოცდილება დოქტორანტურაში ხელმძღვანელობის, სადოქტორო კვლევების, ეთიკისა და სამართლებრივ საკითხებზე. კურსი ასევე მოიცავდა პროფესიული დოქტორანტურის საკითხებს, არსებულ განსხვავებებსა და უპირატესობებს პროფესიულ და ტრადიციულ დოქტორანტურას შორის, მის შესწავლას საქართველოს კონტექსტში.

უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ფინანსური მხარდაჭერის მზარდ ტენდენციას ადასტურებს გაწეული ფინანსური ხარჯი. 2021 წლის 1 ივნისიდან დღემდე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობასა და პროექტებში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა 01.06.2020-01.06.2021 პერიოდთან შედარებით 6-ჯერ არის გაზრდილი. ამ დროის განმავლობაში უნივერსიტეტის დაფინანსებით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მიიღო 13 აკადემიურმა პერსონალმა, აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის იმავე პერიოდთან (01.06.2020-01.06.2021) შედარებით 3,3-ჯერ არის გაზრდილი.

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (მარტი-აპრილი) ჩატარებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობ მექანიზმებს პერსონალი დადებითად აფასებს.

აკადემიურმა პერსონალმა უნივერსიტეტში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმების აღმწერი დებულებები 3-ქულიანი შკალით შეაფასეს და რესპოდენტების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებებს, რომ უნივერსიტეტი აწვდით ინფორმაციას უნივერსიტეტის გარეთ არსებული საერთაშორისო კონფერენციების, კონკურსების, საერთაშორისო ღონისძიებების, საერთაშორისო კვლევების შესახებ; აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, უნივერსიტეტის გარეთ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში, კონკურსებში ჩართვისთვის; გაცვლითი პროგრამების კონკურსში

მონაწილეობის კრიტერიუმები სამართლიანი და გამჭვირვალეა და უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაში. იხ. დიაგრამა 2.1.1.1

***დიაგრამა 2.1.1.1*** *უნივერსიტეტში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმები*




კვლევის შედეგების თანახმად უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმირებულია გამოკითხულთა 78,3%. იხ. დიაგრამა 2.1.2

***დიაგრამა 2.1.1.2*** *აქვს თუ არა უნივერსიტეტს გაცვლითი პროგრამები უცხოეთის უნივერსიტეტებში (Erasmus+, სხვ.)*




კვლევის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ხელშეწყობით მონაწილეობა მიუღია ყოველ მეოთხე რესპონდენტს.

უნივერსიტეტი მომავალშიც გააგრძელებს პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერასა და სხვა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებაზე ზრუნვას.

**2.1.2. რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე.**

უნდა აღინშნოს, რომ ინგლისურენოვანი პროგრამების განმახოციელებელ და ასევე, სერვისის გამწევ პერსონალს მანამდეც ჰქონდა ეს კომპეტანცია მაღალ დონეზე, ხოლო ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით უნივერსიტეტი ზრუნავდა და ზრუნავს პერსონალის ინგლისური ენის გამჯობესებაზე.

ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინების კონტექსში უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ბოლოდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შექმნილია ,,ენების ცენტრი'', რომლის მიზანიცაა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის; მეთოდურ-კვლევითი და მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება; პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენა და გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ენების ცენტრი ინტენსიურად მართავს სამუშაო შეხვედრებს უნივერსიტეტის უცხო ენის პროფესორ-მასწავლებლებთან და მიმდინარეობს უწყვეტი მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული უცხო ენების კურსების სწავლების მეთოდების, ლიტერატურის განახლებაზე და ამავე დროს, მნიშნელოვანია აღინიშნოს, საგანმანათლებლო პროგრამებზე ენების სწავლების კოორდინირების უზრუნველყოფაზე; ენების ცენტრის ჩართულობით შეიქმნა ,,ენის ფლობის კომპეტენციის დადგენის წესი'', ახორციელებს მთარგმნელობით საქმიანობას და ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით მოსამზადებელ კურსებს და ა.შ.

კონკრეტულად გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით კი პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ინტენსიურად ახორციელებს მოსამზადებელ სასერტიფიკატო **,,ინგლისური ენის ექსპრეს სასაუბრო კურსს'' (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/inglisuri-mosamzadebeli/ ).** EEU-ს პერსონალის საჭიროებებიდან გამომდინარე, კურსის მიზანია კონკრეტულად სასაუბრო ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ინგლისურ ენაზე საუბრის ბარიერის გადალახვა, კურსი სრულად ორიენტირებულია საუბრის პრაქტიკაზე. კურსზე სწავლება დაფინანსებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ. აღნიშნული კურსის ფარგლებში უკვე გადამზადდა 20 თანამშრომელი.

გარდა სასერტიფიკატო კურსისა, ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია კლუბები: **MOVIE CLUB** და **SPEAKING CLUB**. კერძოდ, კინო-კლუბი თვეში ერთხელ მართავს კინოჩვენებას ინგლისურ ენაზე, ინგლისური სუბტიტრებით. ფილმის დასრულების შემდეგ კი იმართება მინი-დისკუსიები ინგლისურ ენაზე. ფილმები ძირითადად მიზანმიმართულად შერჩეულია განათლების თემატიკაზე. MOVIE CLUB-ის აქტივობებზე დასწრება არ არის შეზღუდული (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/movie-club/ ). რაც შეეხება SPEAKING CLUB-ს, შეხვედრები (იხ. ბმული: https://eeu.edu.ge/portfolio/speaking-club/ ) ტარდება თვეში 2-ჯერ. კლუბის მიზანია, ინგლისურ ენაზე საუბრისა და მოსმენის უნარების გაუმჯობესება, ეხმარება არაფორმალურ კონტექსტში ახალი ლექსიკის შეთვისებასა და გამდიდრებაში, ინგლისურ ენაზე საუბრის ბარიერის გადალახვასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში. კლუბს ჰყავს მოდერატორები, რომლებიც არჩევენ ინგლისურ ენაზე სადისკუსიო/საპრეზენტაციო თემებს.

| მტკიცებულებები |
| --- |
| |

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო პროექტების/ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციები **(დანართი 2.1.1.1)**
- მემორანდუმები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან **(დანართი 2.1.1.2)**
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

## 2.2 შიდა ხარისხის მართვის მექანიზმები

| **რეკომენდაცია** |
|---|
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

## 2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

| **რეკომენდაცია** |
|---|
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

# სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები

## 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი და შემუშავება

| **რეკომენდაცია** |
|---|
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

## 3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

| **რეკომენდაცია** |
|---|
| **3.2. უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანახვედრა.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **3.2. უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანახვედრა.**<br><br>ექსპერტების რეკომენდაცია მოიცავდა სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტ თანხვედრას, რომელიც ეხებოდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას. |

აღნიშნული რეკომენდაცია  უნივერსიტეტმა გაიზიარა და განახორციელა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაში (მომავალში პროგრამა) შესაბამისი ცვლილებები.

აღნიშნული პროგრამა, როგორი სახითაც იყო წარმოდგენილი ექსპერტების ვიზიტისას, ითვალისწინებდა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას და შეესაბამება ჰარდენის შკალის VII-VIII დონეს. პროგრამის სასწავლო კურსებში  გამოყენებულია თემატიკის შესაბამისი სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები, ლექციები ინტერაქტიულია, სემინარებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა  შემთხვევის ანალიზი (Case Study),  ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ვიდეომასალის ჩვენება, როლური თამაშები, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (Bedside-Teaching), სწავლება სიმულატორების გამოყენებით, დისკუსია/დებატები და ა.შ; თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის მიზნებს, შინაარსს და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ცოდნის შეფასება ხდება ღია და დახურული კითხვებით, შემთხვევის ანალიზითა და შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრული სხვა რელევანტური მეთოდებით. მედიცინის საფუძვლების სასწავლო კურსებში გამოყენებულია ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), კლინიკური და პროფესიული უნარების შეფასება ხდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE), რაც დადასტურდა ექსპერტების ვიზიტისას.

ექსპერტების რეკომენდაციის გაზიარების შედეგად, ზემოთ აღნიშნული ინტეგრაციის გამყარებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ:
სასწავლო კურსებში თემატიკის შესაბამისად ჩაემატა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა (PBL) და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL) სესიები. კერძოდ, საბაზისო ბიოსამედიცინო სასწავლო კურსებში: „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ - უჯრედული ბიოლოგია (ინტეგრირებული ბიოქიმიასთან), მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა, „ორგანიზმის სისტემები“ (ინტეგრირებული მოდულები: ანატომია-ჰისტოლოგია-რადიოლოგია), „ორგანიზმის ფუნქცია“ (ინტეგრირებული მოდულები: ფიზიოლოგია-ბიოქიმია), ბიოფიზიკა და სამედიცინო ფიზიკა, ნეირომეცნიერება (ინტეგრირებული მოდულები: ფიზიოლოგია-ბიოქიმია), იმუნოლოგია, პრეკლინიკურ ინტეგრირებულ კურსებში  -  პათოლოგია (ინტეგრირებული ფარმაკოლოგიასთან), მიკრობიოლოგია (ინტეგრირებული ფარმაკოლოგიასა და იმუნოლოგიასთან), კლინიკურ და პროფესიულ უნარები IV-ში (ინტეგრირებული მოდულები: კლინიკური და პროფესიული უნარები-კომუნიკაციის უნარები), საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და ა.შ.
ასევე, ჩაემატა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL). ხოლო, დიაგნოსტიკის მეთოდებში (ინტეგრირებული კურსები: ფიზიკური დიაგნოსტიკა, რადიოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა) და კლინიკურ კურსებში - შინაგანი მედიცინა I (კარდიოვასკულარული და პულმონარული სისტემები, შინაგანი მედიცინა II (საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემები, მეტაბოლიზმი), შინაგანი მედიცინა III (უროგენიტალური სისტემა), ქირურგია  I (ზოგადი ქირურგია), ქირურგია II (გულმკერდის ქირურგია), ქირურგია  III (მუცლის ღრუს ორგანოები), ქირურგია IV (ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ყბა-სახის ქირურგია), ქირურგია V (უროლოგია), დერმატოლოგია, ინფექციური სნეულებები, პედიატრია, მეანობა და გინეკოლოგია, ნევროლოგია და ა.შ.

ასევე, ჩაემატა კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL).  PBL-ისა და CBL- ის შეფასება ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული რელევანტური კრიტერიუმებით.

| |
|---|
| სწავლა-სწავლების აღნიშნული მეთოდების საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკაში გამოიყენონ ძირითადი მეცნიერებები, უკეთ გაიგონ დაავადებების ძირითადი მექანიზმები, შეაფასონ კლინიკური შემთხვევების მიმდინარეობა, გაიუმჯობესონ შესაბამისი კითხვების განსაზღვრისა და მათზე პასუხების მოძიების უნარი, რელევანტური ინფორმაციის მოძიების უნარი, პრობლემის ამოცნობისა და მისი გადაჭრის უნარი, ჯგუფური მუშაობის, კრიტიკული ანალიზის, ლოგიკური მსჯელობის, კომუნიკაციისა და კოგნიტური უნარები. |
| **მტკიცებულებები** |
| • დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 3.2.1**) |

## 3.3 სასწავლო შედეგების შეფასება

| **რეკომენდაცია** |
|---|
| **3.3.1 განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.**<br>**3.3.2 განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შეაქვს რაიმე წვლილი კონკრეტულ კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.**<br>**3.3.3 სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.**<br>**3.3.4 OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **3.3.1 განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.**<br><br>- აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ყოველსემესტრულად ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომელიც ითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით ხორციელდება შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები როგორიცაა: საკონსულტაციო საათები, ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ რაოდენობრივი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სხვა. სწავლა-განვითარებისა და აკადემიური მოსწრების ხელშესაწყობად ხდება სტუდენტთა ჩართვა შეფასების სისტემის უწყვეტ დიალოგში. ფაკულტეტების დონეზე ამის მიღწევა ხორციელდება ყოველ სემესტრში სტუდენტებისათვის შუალედური და განმსაზღვრელი უკუკავშირის მექანიზმების შეთავაზებით (შეფასების განხილვა, შეფასების მნიშვნელობა და ა.შ.). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტი ახდენს სტუდენტთა გამოკითხვას შეფასების რელევანტურობის, მისი ორგანიზებისას და მასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ.<br><br>ზემოთ აღნიშნული მექანიზმების განვითარებისა და ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მონიტორინგის სისტემის განვითარების მიზნით, შეიმუშავა ,,სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია'' (https://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი/), რომელიც მოიცავს სტუდენტის მონიტორინგისა და სწავლის პროგრესზე დაკვირვების მექანიზმებს. |

**3.3.2 განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შეაქვს რაიმე წვლილი კონკრეტულ კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.**

- ექსპერტთა დასკვნის შინაარსის მიხედვით, აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანთლებლო პროგრამას, რაც ასევე, ექსპერტების მიერ ვიზიტისას დაზუსტდა.
როგორც ცნობილია, განმავითარებელი შეფასების ძირითადი დანიშნულებაა სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, გამოვლენილი სუსტი მხარეების დასაძლევად გზების დასახვა და მათი განხორციელება. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა გაზარდოს სწავლის მოტივაცია, მივიდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სასწავლო მიზნამდე და მივაღწიოთ სასურველ შედეგს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტისას აღნიშნულ საკითხზე უკვე მიდიოდა მუშაობა, რაზეც აღინიშნა როგორც ექსპერტთა ვიზიტისას, ასევე, საბჭოს სხდომაზე. შესაბამისად, სტუდენტის პროგრესზე დაკვირვების უკეთესად წარმართვისა და ამავე დროს, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით, MD პროგრამაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დაინერგა ისეთი განმავითარებელი შეფასების მეთოდი როგორიცაა პორტფოლიო.

პორტფოლიოს შემუშავებას სტუდენტი ახდენს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული წესების შესაბამისად. პროგრამის თითოეული მოდულის ფარგლებში, მაგალითად როგორიცაა ორგანიზმის სისტემების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ქირურგიის, შინაგანი სნეულებების, კვლევის უნარების და ა.შ., რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე სასწავლო კურსისგან შედგება, ჩაემატა განმავითარებელი პორტფოლიო. მოდულის თითოეული ნაწილის დასრულების შემდგომ, სემესტრის მე-16 სასწავლო კვირას წარმოებს სტუდენტის მიერ შემუშავებული პორტფოლიოს განხილვა, ხოლო სტუდენტი ვალდებულია პორტფოლიო წარუდგინოს ლექტორს განხილვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. განხილვის შემდგომ სტუდენტი ლექტორისგან იღებს წერილობით უკუკავშირს/Feedback-ს მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე რჩევებს შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო ნაბიჯების თაობაზე. უკუკავშირის მიღების შემდეგ სტუდენტს პორტფოლიო უბრუნდება და აგრძელებს მასზე მუშაობას მომდევნო სემესტრების განმავლობაში მოდულის დასრულებამდე. აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით კონტროლდება თითოეული სტუდენტის განვითარების დინამიკა და ხელი ეწყობა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე, განმავითარებელი შეფასება/უკუკავშირი ეხმარება ლექტორს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვაში, ხოლო სტუდენტს - მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღებაში. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განმავითარებელი შეფასება და სტუდენტის პროგრესზე დაკვირვების მეთოდი უნივერსიტეტის ,,სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიის'' განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

**3.3.3. სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.**

ექპერტთა რეკომენდაცია ეხება სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენებას. ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით MD პროგრამის ფარგლებში, სასაწავლო კურსების შესაბამისად, უზრუნველყოფილია კლინიკურ გარემოში სწავლება, რაც მოიცავს ამბულატორიულ და სტაციონალურ პაციენტებთან შეხვედრას, დაკვირვებასა და მათთან კომუნიკაციას, ავადმყოფის საწოლთან სწავლებას (Bedside-Teaching). სტუდენტების დასწრება და მონაწილეობა (პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ) უზრუნველყოფილია ისეთი კლინიკური აქტივობებისა და პროცედურების დროს როგორიცაა: პაციენტის კონსულტირება, ანამნეზის

შეკრება, დიაგნოსტიკურ პროცედურებზე - ფიზიკალურ, ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ გამოკვლევებზე დასწრება, ოპერაციაზე დასწრება და ა.შ.
სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება (WPBA), კლინიკური როტაციების განმავლობაში, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, რომელიც ასევე აქტიურადაა დანერგილი MD პროგრამაში. სხვადასხვა კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, დერმატოლოგია, პედიატრია, ინფექციური დაავადებები, ნევროლოგია, ფსიქიატრია, მეანობა და გინეკოლოგია, ანესთეზიოლოგია და რეანიმაცია და ა.შ.) სტუდენტის როგორც მიმდინარე, ასევე დასკვნითი შეფასების მეთოდების გამოიყენება კლინიკური შემთხვევის განხილვა/ანალიზი (Case Study/Analysis), კლინიკური შემთხვევის პრეზენტაცია (Clinical Case Presentation), კლინიკური უნარების დემონსტრირება (Demonstration of Clinical Skills). შეფასების აღნიშნული მეთოდების ფარგლებში ფასდება სტუდენტთა მიერ ანამნეზის შეკრების და მონაცემების რეგისტრაციის, პაციენტის ისტორიის წაკითხვის, სიმპტომების აღწერის, საჭირო დამატებითი გამოკვლევების დანიშვნის, ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური შედეგების ინტერპრეტაციის, კლინიკური მსჯელობის, დიფერენციალური დიაგნოსტიკის ჩატარებისა და დიაგნოზის განსაზღვრის, დაავადების პათოფიზიოლოგიური მექანიზმების განსაზღვრისა და მკურნალობის გეგმის შემუშავების, მედიკამენტების დოზირების, მათი გვერდითი მოვლენებისა და წამალთა ურთიერთქმედების განსაზღვრის უნარები და ა.შ.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების პარალელურად, რომელიც თვის მხრივ დაკავშირებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებელთან, სამუშაო პროცესების მიმდინარეობა აღნიშნული პროგრამის განვითარების ნაწილში უწყვეტი პროცესია და სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების განვითარების მიმართულებით კვლავ გრძელდება და იგეგმება პროგრამაში WPBA-ის კიდევ სხვა მეთოდების ინტეგრირება, მაგალითად მინი-კლინიკური გამოცდის (mini-CEX), 360º-იანი შეფასების და პირდაპირი დაკვირვების (DOPS), რაც შემდგომში აღნიშნული შეფასების კიდევ უფრო ამომწურავად გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესები ხორციელდება და მომავალშიც განხორციელდება მედიცინის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის ცვლილებების კვალდაკვალ. ამასთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი აგრძელებს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯთან პარტნიორობას, ამჯერად MD პროგრამის ფარგლებში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განვითარება-განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება ლონდონის კოლეჯის სამედიცინო სკოლის (UCL Medical School) ხელშეწყობით.

### 3.3.4. OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული.

ექპერტთა რეკომენდაცია ეხება ადრეულ ეტაპზე OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეულ დანერგვასთან დაკავშირებით იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე იყვნენ ჩარიცხული.
უნდა აღინიშნოს, რომ ძველი MD პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2017 წელს, 7 წლის ვადით იმ პერიოდისთვის არსებული დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად, ხოლო სტუდენტთა პირველი მიღება პროგრამაზე განხორციელდა 2018 წლიდან.
სტანდარტის ცვლილების შემდეგ 2019 წლიდან უნივერსიტეტმა დაიწყო აქტიური მუშაობა პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით ახალი სტანდარტების გათვალისწინებით და 2020 წლიდან დამტკიცდა განახლებული პროგრამა, რომელიც თავსებადია ამჟამად არსებულ დარგობრივ სტანდარტთან.

| |
|---|
| ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ძველ პროგრამაზე OSCE/OSPE გამოცდების დანერგვის საჭიროება აღარ არსებობს, ვინაიდან ძველ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიც ახალი პროგრამით აგრძელებენ სწავლას (კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გათვალისწინებით), რაც თავისთავად მიუთითებს, რომ ყველა სტუდენტმა განახლებული პროგრამით გააგრძელა სწავლა ანუ ადრეულ ეტაპზე განესაზღვრათ OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ჩაბარება. ხოლო, ძველი პროგრამა დასრულდა მილევად რეჟიმში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში. შესაბამისად, 2021-2022 შემოდგომის სემესტრიდან ძველ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიც ახალი პროგრამით აგრძელებენ სწავლას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტების OSCE/OSPE ტიპის გამოცდებით შეფასებას. |
| **მტკიცებულებები** |
| • ,,სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია'' (https://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი/),<br>• დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3.2.1)**<br>• **UCL Medical School (UCLMS) Proposal (დანართი 3.3.3.1)** |

## სტანდარტი 4. უსდ-ს პერონალი

### 4.1 პერსონალის მართვა

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

### 4.2 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **4.2. გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **4.2. გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის.**<br><br>უპირველეს ყოვლის უნდა აღინიშნოს, რომ გარე (ავტორიზაციისა და კარედიტაციის მიზით ) და შიდა შეფასებების შედგებით პროგრამის განმახოციელბელი პეროსონალი უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, ხოლო სტუდენტების სწავლების ხარისხით კმაყოფილება მაღალია და წლიდან წალამდე მზარდია. ამასთან თავად პეროსონალის კმაყოფილების კვლევები ადასტურებს, რომ ისინი კმაყოფილები არიან უნივერისტეტის მიერ შეთავზებული დატვირთით და ზოგადად უნივერისტეტთან თანამშრომლობით. ზემოთ დასახლებული ფაქტები და არგუმენტები ქმნის მყარ მტკიცებულებას, რომ უნივერსიტეტში აკედმიური |

პესონალის დატვირთვის პრქტიკა არა თუ არ ქმნის სწავლების ხარისხის გაუარესების რისკს, არამედ ხდება მისი გაუმჯობესება. ეს არის უნივერსიტეტის უმთავრესი პრიორიტეტი და საგანმნათლებლო საქამიანობის გენერალური ხაზი.

აღნიშნულიდან გამომიდინარე უნივერისტეტის სასარგებლოა ყველა ის რეკომენდაცია/რჩევა, რომელიც დასახელებული პრიორიტეტული პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. მოცეულ კონტექსტში უნივერისტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის მექანიზმი დახვეწა და იგი სტრუქტურირებულ, სტანდარტიზებულ დოკუმენტად ჩამოაყალიბა. (**იხ. დანართი 4.2.1.** აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია), რომელიც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ პერსონალთან გამაჭირვალე და ცხადი კომუნიკაციის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, აკადემიურ სფეროში გაზრდილი კონკურენციის კვალდაკვალ დაიცვას უნივერსიტეტს პეროსონალის გადინების ან/და არსებული პერსონალის მიერ საკუთარი საქმიანობის ჯეროვანად ვერ შესრულების რისკებისგან. რაც ამავდროულად პოზიტიურ გავლენას მოახდენს უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის პროცესზე.

ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინების კონტექტსში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტები დასკვნაში თავად მიუთიკთებდნენ, რომ საერთო ჯამში, აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს, რომელიც 40 საათიან სამუშაო კვირას გულისხმობს. ამასთან ვიზტის მიმდინეროებისას სხვადასხვა პანელიდან (სტრუქტურული ერთეულები, აკადემიური პერსონალი, სტუდნეტები, კურსდამთავრებულები) მიღებული უკუკავშრით ექსპერტა ჯგუფი შეჯერდა რომ აკადემიური პერსონალის იმ მომენტისათვის უნივერისტეტში არსებული დატვირთვა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იყო და ასევე არ იკვეთებოდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების რისკები, თუმცა იმის გათვალისწინებით რომ აკადემიური პერსონალი საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესეულებებში საქმიანობენ მიზნაშეწონილი იქნებოდა მათი დატვირთვის პოლიტიკის დახვეწა.

ექსპერტთა მიერ ზემოთ დასახელებული რეკომენდაციის კონტექსტი გაიზარებული იქნა უნივერსიტეტის მიერ და შეიმუშავა აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია **(იხ. დანართი 4.2.1).**

აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია (შემდგომში - „ინსტრუქცია“) წარმოადგენს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დანართს და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ინსტრუქცია არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- პერსონალის სავალდებულო დატვირთვა;
- ასიმეტრიული დატვირთვა;
- სავალდებულო დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვის შემთხვევები;
- პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის ზღვარი;
- დატვირთვის სქემა;
- ინსტრუქციის დარღვევაზე რეაგირების მექანიზმები.

შედეგად, ინსტრუქცია უფრო ცხადად არეგულირებს აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხებს და აუმჯობესებს მექანიზმს სწავლების ხარისხის გაუარესების რისკების პრევენციისთვის.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების თანახმად აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის პოლიტიკას და მხარდამჭერ მექანიზმებს მაღალი შეფასებით აფასებს და თვლის,

რომ პერსონალის დატვირთვა გონივრულია (აღნიშნული დებულება პერსონალის მიერ 3 ქულიან სკალაზე 2,79 ქულით შეფასდა). კვლევა ასევე აჩვენებს, რომ მაღალია უნივერსიტეტში დასაქმებით პერსონალის საერთო კმაყოფილება, რომელიც 5 ქულიან სკალაზე 4,61 ქულით შეფასდა.

***დიაგრამა 4.2.1*** *მთლიანობაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მუშაობით კმაყოფილება*




კვლევის შედეგების თანახმად უნივერსიტეტი სასურველი დამსაქმებელია და გამოკითხულთა 88,57% დაინტერესებულია უნივერსიტეტში გრძელვადიანი დასაქმებით.

***დიაგრამა 4.2.2*** *დაინტერესებული ხართ თუ არა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გრძელვადიანი დასაქმებით/თანამშრომლობით?*



გარდა ამისა, პერსონალის ლოიალურობის მახასიათებელია რეკომენდაციის სურვილი, აბსოლუტური უმრავლესობა მზადაა რეკომენდაცია გაუწიოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს როგორც დამსაქმებელს.

***დიაგრამა 4.2.3*** *გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს როგორც სამუშაო ადგილს?*




| |
|---|
| **მტკიცებულებები** |
| • აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია **(დანართი 4.2.1)** |

## სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

### 5.1 სტუდენტთა სტატუსის მოპოვებისა და შეცვლის წესი, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

### 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |

| |
|---|
| **მტკიცებულებები** |
| |

## სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

### 6.1 კვლევითი აქტივობები

| **რეკომენდაცია** |
|---|
| **6.1.1 უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული პერსონალი კვლევაში.**<br>**6.1.2 შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.**<br>**6.1.3 გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.**<br>**6.1.4 უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **რეკომენდაცია 6.1.1 - უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული პერსონალი კვლევაში.**<br><br>ექსპერტების რეკომენდაცია ეხება აფილირებული პერსონალის უფრო მეტ ჩართულობას კვლევით საქმიანობაში და ამისათვის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის გაღრმავებას სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.<br><br>აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, დარგებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკების გათვალისწინებით, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები ხორციელდება როგორც ფაკულტეტებზე, ასევე, სამეცნიერო კვლევით ცენტრებში. კვლევებს გუნდურად და ინდივიდუალურად ახორციელებს კვლევითი ცენტრების და ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები. უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილია ინტერდისციპლინარული და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევების განხორციელება.<br><br>უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა წარმოადგენს. იმისათვის, რათა უნივერსიტეტში უწყვეტ რეჟიმში განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა შექმნილია და დანერგილია კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები, რომელიც უპირველეს ყოვლისა აფილირებული პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერასა და წახალისებას ემსახურება, მათ შორის:<br><br>► შიდა საუნივერსიტეტი გრანტები ახალგაზრდა მკვლევარების და აკადემიური/აფილირებული პერსონალისთვის;<br>► სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა;<br>► აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებისფინანსური ხელშეწყობა; |

- ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში წარდგენილი გამოყენებითი კვლევების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების საკონკურსო პროექტებში აკადემიური მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტი ორიენტირებულია კვლევითი ეთიკის კულტურის განვითარებაზე და ხელს უწყობს ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებსა;
- არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წევრი და მათთან თანამშრომლობით ხელს უწყობს პერსონალსა და სტუდენტებს კვლევითი პროექტების განხორცილებასა და ახალისებს მათ კვლევით საქმიანობას;
- ოპტიმალურად და ეფექტიანად იყენებს ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ხარისხიანი კვლევების განსავითარებლად.

უნივერისტეტი სტაბილურად და სისტემატურად ახდენს პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდაჭერას, რისთვისაც შემუშავებულია სხვადასხვა რეგულაციები, კერძოდ,

- ✓ ,,კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი“;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სპეციალური ,,ბონუს სისტემა”;
- ✓ ,,სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“;

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტი აფილირებული პერსონალის ფინანსური წახალისების ნაწილში, იზრდება საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციები რაოდენობა და ამავე დროს იზრდება კვლევებში ჩართული აფილირებული პერსონალის რაოდენობაც.
მთლიანობაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით დახარჯა 146 242 ლარი (იხ. დიაგრამა 6.1.1.1). აღნიშნული მხარდაჭერით ისარგებლა დაახლოებით 50-ზე მეტმა უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა.

**სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე გაწეული ხარჯები**

დიაგრამა 6.1.1.1.



სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა სახის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: ვორქშოპები და ტრეინინგები, საჯარო ლექციები, ვებინარები. კერძოდ 2021 წლიდან დღემდე EEU-ს ორგანიზებით ჩატარდა არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ღონისძიება (იხ. დანართი);

აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების საფუძველზე 2021 წელს აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნდა 15 სტატია რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულში, გამოქვეყნდა 5 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში, 3 მონოგრაფია, წიგნი და სახელმძღვანელო; ითარგმნა 5 წიგნი; განხორციელდა 3 შიდა და 2 საერთაშორისო საგრანტო პროექტი; დაფიქსირდა 37 სამეცნიერო კონფერენციაში, სემინარსა და ვორქშოპში მონაწილეობა; მოხდა 4 სამეცნიერო ნაშრომის რედაქტირება და 1 სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება. ამ დროისათვის მიმდინარეობს 16 სამეცნიერო აქტივობა.

უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას, ახორციელებს შესაბამის აქტივობებს და მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს აკადემიური და აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას.

დიაგრამა 6.1.1.2: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის 2021 წლის ძირითადი სამეცნიერო აქტივობები



**6.1.2. შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.**

ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის მიღებისთანავე EEU-მ შეისწავლა ვებგვერდზე კვლევითი პროექტების ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია და ნამდვილად იყო რამდენიმე პროექტი, რომელის აღწერილობის ნაწილში იყო ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად, რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა და განახლებულ იქნა ვიზიტის პერიოდში. განახლებული ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/completed/

**6.1.3. გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.**

უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია და როგორც 4.2 რეკომენდაციის პასუხად არის მითითებული, შეიმუშავა აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია.

ამასთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიზნით ინერგება 60/40 პრინციპის მექანიზმი, რომელიც იქნება დამატებითი შეთავაზება აკადემიური პერსონალისთვის და ხელს შეუწყობს როგორც მკვლევრების მოზიდვას, ასევე, სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას. ამ პრინციპების მიხედვით აფილირებული პერსონალი, რომელიც აირჩევს ამ მიდგომას, გაფორმდება სპეციალური ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მთლიანი დატვირთვის 60 %-ს დათმობა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას (ცოდნის შექმნას), ხოლო 40% სწავლებას (ცოდნის გადაცემას)

**რეკომენდაცია 6.1.4 - უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.**

სტუდენტების კვლევით საქმიანობაში უფრო მეტი ჩართულობის მიზნით, ცვლილება შევიდა ,,EEU-ს სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისების წესში'' და ყოველსემესტრული 600-ლარიანი სტიპენდიის მოსაპოვებლად, გარდა აკადემიური მოსწრებისა, საჭიროა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით და საუნივერსიტეტო სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობა (იხ. დანართი 6.1.4.1). გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტში შეიქმნა ,,სტუდენტური კლუბების დებულება'' (იხ. დანართი 6.1.4.2), რომლითაც განისაზღვრა სტუდენტური კლუბების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები და აქცენტი გაკეთდა სწორედ სამეცნიერო მიმართულებაზე. კერძოდ, კლუბის შექმნის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში და სამეცნიერო კონფერენციების განხორციელება, სტუდენტთა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა, სტუდენტური სამეცნიერო თუ კულტურულ-შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა და უკუკავშირი და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წახალისებულ იქნა სამეცნიერო მიმართულებით კლუბების ჩამოყალიბება და ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ფაკულტეტების ბაზაზე შექმნილია ,,ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბები - YRC'', რომელიც წარმოადგენს საერთო სამეცნიერო ინტერესის/მიზნების ირგვლივ სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულების გაერთიანებას და მისი მიზანია სწავლების ყველა (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი და დოქტორანტურის) საფეხურის სტუდენტების ჩართულობით ფაკულტეტზე შეიქმნას ერთიანი პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაციას, სტუდენტების სამეცნიერო აქტივობების (კვლევების, საკონფერენციო მოხსენებების, სტატიების და სხვ.) განხორციელებაში, დებატებში ჩართულობას, მათთვის საინტერესო საკითხების სიღრმისეულ განხილვაში; ასევე, ხელი შეუწყოს ახალი სამეცნიერო კვლევების წარმოებას შესაბამის ფაკულტეტზე პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების შესაბამისად (მედიცინა, განათლება, სამართალი, არქიტექტურა, ფსიქოლოგია და სხვა). აღსანიშნია, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში უკვე გაერთიანებულია 20-მდე სტუდენტი და აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით საქმიანობაში.

| |
|---|
| სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის გაზრდის და ასევე, ინიციატივების მაქსიმალურად მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი მხარს უჭერს და აფინანსებს (5000 ლარი) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებს/ინიციატივებს (იხ. დანართი 6.1.4.3 ,,სტუდენტური პროექტებისა დაფინანსების წესი''). მეტიც, სწორედ კვლევითი პროექტების კონკურსში სტუდენტთა გამარჯვებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, EEU ახორციელებს კონფერენციას ,,ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პროექტი – აქციე იდეა რეალობად!'' (https://eeu.edu.ge/portfolio/stud-grant2022/ ) და სტუდენტებს შორის ყველაზე კრეატიული იდეების მქონე ნაშრომის ავტორებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ EEU-ს სტუდენტურ სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფინალურ ეტაპზე, ხოლო კონფერენცია განხორციელებამდე ითვალისწინებს საკონსულტაციო შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი ეხმარება სტუდენტებს კველევითი პროექტების სათანადოდ მომზადებისა და წარდგენის პროცედურებში. უკვე ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია.<br><br>ასევე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ყოველწლიურად გამოცხადებულ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ერთ-ერთი აუცილებელია პირობაა, რომ თითოეული პროექტის განხორციელებაში ნებისმიერი საფეხურის მინიმუმ 2 სტუდენტის ჩართულობა. მაგალითად, 2020-2021 სასწავლო წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ჩაერთო 10 სტუდენტი<br><br>საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის, ფაკულტეტების, სტუდენტური ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების ინიციატივით გაიმართა არაერთი სტუდენტური კონფერენცია ჰიბრიდულ რეჟიმში, რომლებშიც EEU-ს სტუდენტთა ჩართულობა გაიზარდა და ამასთანავე, აღნიშნულ კონფერენციებზე წარდგნენ სტუდენტები საზღვარგარეთის და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. |
| **მტკიცებულებები** |
| • EEU-ს სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისების წესი **(დანართი 6.1.4.1)**<br>• სტუდენტური კლუბის დებულება **(დანართი 6.1.4.2)**<br>• სტუდენტური პროექტებისა დაფინანსების წესი **(დანართი 6.1.4.3)**<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდი https://eeu.edu.ge<br>• განხორციელებული კვლევითი აქტივობები აფილირებული პერსონალის ჩართულობით (2021 წლის ივნისი - 2022 წლის მაისი) **(დანართი 6.1.4.4)** |

## 6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

## 6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |

| |
|---|
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

## სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 7.1 მატერიალური რესურსები

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **7.1.1. უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.**<br>**7.1.2. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება.** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **7.1.3. უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.**<br><br>ექპერტთა რეკომენდაციები ეხებოდა ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული აღჭურვილობის სრულყოფილად გამოყენებას და ასევე, სიმულატორების რაოდენობის გაზრდას. აღჭურვილობი სრულყოფლად გამოყენებს რეკომენდაცია დაკავშირებული იყო ბოლო თაობის ინტერაქტიული ანატომიური მაგიდასთან და სმარტ-მონიტორებთან, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ იყო ახალი შეძენილი, ხოლო ექსპერტების ვიზიტის დროს (დასრულებული სემესტრი) სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა; თავისთავად ცხადია, რომ უნივერსიტეტს, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე დაგეგმილი ჰქონდა ახალი აღჭურვილობის გამოყენება და შესაბამისად, გაიზიარა ექპერტთა რეკომენდაციაც. პირველ ეტაპზე განახორციელა აღნიშნული ანატომიური მაგიდისა და მონიტორების მოხმარების ტრენინგები პერსონალისთვის, ხოლო ამჟამად, აღნიშნული ანატომიური მაგიდა და სმარტ-მონიტორები წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში;<br><br>**7.1.4. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება.**<br><br>უნივერსიტეტმა ასევე, გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია და გაზარდა სამედიცინო აღჭურვილობისა და სიმულატორების რაოდენობა.<br><br>2021 წლის შემდეგ უნივერისტეტმა განახორციელა 415 012 ლარის ინვესტიცია და დამატებით შეიძინა როგორც სიმულაციური და ანატომიური ლაბორატორიებისათვის საჭირო მულაჟები, ასევე, ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორიისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა. კერძოდ,<br><br>• **ბავშვის გულ-ფილტვის რეანიმაციის მანეკენი;**<br>• **ახალშობილის გულ-ფილტვის რეანიმაციის მანეკენი;**<br>• **ბავშვის გულის ტონებისა და ფილტვის მოსასმენი მანეკენი;**<br>• **ყურის სადიაგნოსტიკო სიმულატორი;**<br>• **თვალის სადიაგნოსტიკო სიმულატორი;**<br>• **მულტიფუნქციური მანეკენი „Leonardo“;**<br><br>აღსანიშნავია, **მულტიფუნქციური მანეკენი „Leonardo“,** რომელიც არის ზრდასრული პაციენტის სიმულატორი. იგი იძლევა როგორც საბაზისო, ასევე რთული და კომპლექსური სამედიცინო მანიპულაციების მაღალი |

ხარისხით ჩატარების შესაძლებლობას. მაგალითად, სასიცოცხლო ფუნქციების შემოწმების, გულ-ფილტვის რეანიმაციის, ნევროლოგიური შეფასების, მედიკამენტების ადმინისტრირების, აუსკულტაციის, ტრაქეალური ინტუბაციის და ა.შ.
მისი მაქსიმალურად რეალისტური მახასიათებლები სრულად შეესაბამება ადამიანის ფიზიოლოგიურ მონაცემებს (180 სმ, 68 კგ), აქვს დატენვადი მძლავრი ბატარეა, 8 საათიანი მუშაობის რეჟიმით.
აღნიშნული მანეკენი უკავშირდება კომპიუტერულ მოწყობილობას, სადაც სპეციალური პროგრამის საშუალებით შეგვიძლია შევქმნათ სხვდასხვა სახის კლინიკური შემთხვევა და შემდეგ მანეკენის საშუალებით მოვახდინოთ ამ შემთხვევის სიმულაცია. აქვს წინასწარ ჩატვირთული სხვადასხვა ტიპის ვერბალური პასუხისა და ხმების გენერირების უნარი, როგორიცაა ტირილი, ხველა, მთქნარება.
**"Leonardo"**-ს კანი, ლორწოვანი გარსები და ძვლების სტრუქტურა მაქსიმალურად რეალისტურია და ასევე შეუძლია ცრემლებისა და ოფლის გამოყოფა, სისხლდენის სიმულაცია. მისი მონიტორზე შეერთების შედეგად საშუალება გვაქვს დავაკვირდეთ გულის რიტმს, არტერიულ წნევას, სატურაციას, სუნთქვის სიხშირეს და ა.შ. აღნიშნული მანეკენი იძლევა ელექტროკარდიოგრამის გადაღების, დეფიბრილაციის, ფილტვის მექანიკური ვენტილაციის, ტრავმების მენეჯმენტის, კიდურების იმობილიზაციის საშუალებას და ა.შ.

**Nikon TE300 -ს ტიპის ფლურისცენტული ინვერტირებული მიკროსკოპი,** რომელსაც გააჩნია მძლავრი ოპტიკური მოწყობილობები და გრძელი სამუშაო დისტანცია, რაც საშუალებას გვაძლევს მასში მოვათავსოთ სხვადასხვა სახის შედარებით უფრო დიდი ზომის ნიმუშები და უჯრედული კულტურები მრავალფეროვანი ჭურჭლით. მაღალი ციფრული დიაფრაგმის წყალობით მიკროსკოპი უზრუნველყოფს სათანადო სიკაშკაშეს, გამოსახულების კონტრასტს, გარჩევადობისა და სიმკვეთრის მაღალ დონეს.

**ჰორიზონტალური და ვერტიკალური ლამინარული ნაკადის კაბინეტები,** რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ცალმხრივ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნაკადებს, რათა თავიდან იყოს აცილებული ჰაერის ტურბულენტური და არასტაბილური მოძრაობა, ნაწილაკების არასტაბილური მოძრაობა, დაგროვება და სამუშაო ზედაპირის შესაძლო დაბინძურება.

**ინკუბატორი,** რომლის მიზანია უზრუნველყოს კონტროლირებადი, დამაბინძურებლებისგან თავისუფალი გარემო უჯრედებისა და ქსოვილების კულტურებთან უსაფრთხო და საიმედო მუშაობისთვის ისეთი პირობების რეგულირებით, როგორიცაა ტემპერატურა, ტენიანობა და CO2.

**ავტოკლავი,** რომელის დანიშნულებაა მაღალ ტემპერატურაზე და წნევაზე მიკროორგანიზმების და სპორების განადგურება. ისინი გამოიყენება გარკვეული ბიოლოგიური ნარჩენების, ინსტრუმენტებისა და ლაბორატორიული ტექნიკის სტერილიზაციისთვის.

**საშრობი ღუმელი,** რომელიც გამოიყენება ლაბორატორიულ პირობებში სხვადასხვა ამოცანებისთვის. მათ შორის აორთქლების, სტერილიზაციის, ტემპერატურის ტესტირებისა და ტემპერატურის მგრძნობიარე ექსპერიმენტების ინკუბაციისთვის და თანაბრად გაშრობისთვის.
**წყლის აბაზანა,** რომელიც გამოიყენება ნიმუშების ინკუბაციისთვის მუდმივ ტემპერატურაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში და წარმოადგენს სასურველი სითბოს წყაროს აალებადი ქიმიკატების გასათბობად, ღია ცეცხლის ნაცვლად, აალების თავიდან ასაცილებლად.

**Nikon TE300 -ს ტიპის ფლურისცენტული ინვერტირებული მიკროსკოპი,** რომელსაც გააჩნია მძლავრი ოპტიკური მოწყობილობები და გრძელი სამუშაო დისტანცია, რაც საშუალებას გვაძლევს მასში მოვათავსოთ სხვადასხვა სახის შედარებით უფრო დიდი ზომის ნიმუშები და უჯრედული კულტურები მრავალფეროვანი ჭურჭლით. მაღალი ციფრული დიაფრაგმის წყალობით მიკროსკოპი უზრუნველყოფს სათანადო სიკაშკაშეს, გამოსახულების კონტრასტს, გარჩევადობისა და სიმკვეთრის მაღალ დონეს.

**ჰორიზონტალური და ვერტიკალური ლამინარული ნაკადის კაბინეტები,** რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ცალმხრივ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნაკადებს, რათა თავიდან იყოს აცილებული ჰაერის

ტურბულენტური და არასტაბილური მოძრაობა, ნაწილაკების არასტაბილური მოძრაობა, დაგროვება და სამუშაო ზედაპირის შესაძლო დაბინძურება.

**ინკუბატორი,** რომლის მიზანია უზრუნველყოს კონტროლირებადი, დამაბინძურებლებისგან თავისუფალი გარემო უჯრედებისა და ქსოვილების კულტურებთან უსაფრთხო და საიმედო მუშაობისთვის ისეთი პირობების რეგულირებით, როგორიცაა ტემპერატურა, ტენიანობა და CO2.

**ავტოკლავი,** რომელის დანიშნულებაა მაღალ ტემპერატურაზე და წნევაზე მიკროორგანიზმების და სპორების განადგურება. ისინი გამოიყენება გარკვეული ბიოლოგიური ნარჩენების, ინსტრუმენტებისა და ლაბორატორიული ტექნიკის სტერილიზაციისთვის.

**საშრობი ღუმელი,** რომელიც გამოიყენება ლაბორატორიულ პირობებში სხვადასხვა ამოცანებისთვის. მათ შორის აორთქლების, სტერილიზაციის, ტემპერატურის ტესტირებისა და ტემპერატურის მგრძნობიარე ექსპერიმენტების ინკუბაციისთვის და თანაბრად გაშრობისთვის.
**წყლის აბაზანა,** რომელიც გამოიყენება ნიმუშების ინკუბაციისთვის მუდმივ ტემპერატურაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში და წარმოადგენს სასურველი სითბოს წყაროს აალებადი ქიმიკატების გასათბობად, ღია ცეცხლის ნაცვლად, აალების თავიდან ასაცილებლად.

**მტკიცებულებები**

- **შესყიდვის დოკუმენტაცია (დანართი 7.1.1.1)**
- **ფოტო-მასალა** https://eeu.edu.ge/portfolio/md-activities/

## 7.2 ბიბლიოთეკის რესურსები

**რეკომენდაცია**

**7.2. უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა.**

**რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება**

**7.2. უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა.**

ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია, როგორც ვიზიტისას აღინიშნა და დასკვნაშიც მეტწილად ასახულია, დაკავშირებულია ელექტრონული წიგნებით სარგებლობასთან.
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხი არ არის სრულყოფილად დარეგულირებული საკანონმდებლო დონეზე და გარკვეულ წილად დაწესებულებებში საავტორო უფლებების სრულყოფილად დაცვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია და განახორციელა შესაბამისი სამუშაოები;

განხორციელდა ყველა სახელმძღვანელოს მონიტორინგი, მოხდა ფონდიდან გასარიცხი საბიბლიოთეკო დოკუმენტების გამოვლენა, მათი აღრიცხვა და ჩამოწერა, კერძოდ ექსპერტთა დასკვნაში აღნიშული ორი ერთეული სახელმძღვანელოს ,,შავ-თეთრი" ასლი. შესაბამისად, EEU-ს ბიბლიოთეკაში ამჟამად არსებული წიგნადი ფონდიდან, რომელიც მოიცავს 10 000-მდე ერთეულს (საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გარდა), არ არსებობს არც ერთი წიგნის ქსერო-ასლი; ახალი კამპუსის განახლებულ ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების აღრიცხვა და სარგებლობა ხორციელდება წესების სრული დაცვით.

- ყველა ბეჭდური წიგნი არის ლიცენზირებული, შესყიდვის ან ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

- ყველა ელექტრონული წიგნი (გარდა თავისუფალი წვდომის ელ-წიგნებისა) არის შესყიდული, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- არსებობს ელექტრონული წიგნები, რომლებზეც უნივერსიტეტი სარგებლობს სპეციალური წვდომის უფლებით, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი/პარტნიორი ან/და შესყიდული აქვს შესაბამისი საერთაშორისო მონაცემთა ბაზები;
- არსებობს გარკვეული რაოდენობა ელექტრონული წიგნების, რომელიც თავისუფალი წვდომით არის განთავსებული ელექტრონულ სივრცეში;

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ლიცენზირებულ და ელექტრონულ წიგნებზე საავტორო უფლებების დაცვა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარგებლობის ინსტრუქციაში სახელმძღვანელოების გაცემის ნაწილში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, რაც ითვალისწინებს წიგნების სტუდენტისთვის მხოლოდ სამკითხველო დარბაზში გაცემას და მოთხოვნის შემთხვევაში, სასწავლო დანიშნულებით კონკრეტული გვერდების ქსეროასლების მიწოდებას.

**მტკიცებულებები**

- **ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია (https://eeu.edu.ge/ბიბლიოთეკა/eeulib/ )**

## 7.3 საინფორმაციო რესურსები

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| |
| **მტკიცებულებები** |
| |

## 7.4. ფინანსური რესურსები

| |
|---|
| **რეკომენდაცია** |
| **7.4. სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად;** |
| **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება** |
| **7.4. სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად;**<br><br>როგორც ექპერტების ვიზიტისას, ასევე ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე აღინიშნა უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია, რასაც თავის მხრივ მოწმობს ახალი, ტექნოლოგიურად გამართული და უახლესი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი კამპუსის დასრულებაც. თუმცა, ექპერტების რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება დამატებითი მექანიზმის შექმნას უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით სარეზერვო ფონდის შექმნასთან დაკავშირებით, უნივერისტეტის მიერ გაზიარებულ იქნა.<br>კერძოდ, 2022 და 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას, EEU-მ ბიუჯეტში გაითვალისწინა და შეიქმნა სარეზერვო ფონდის მუხლი, აიღო ვალდებულება შესაბამის საანგარიშო პერიოდში, ყოველ 6 თვეში ერთხელ, წინასწარ განსაზღვრულ თანხას მობილიზება გაუკეთოს სარეზერვო ფონდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის ფორმირება და დამტკიცება განხორციელდა სარეზერვო თანხების გათვალისწინებით. კონკრეტული |

| |
|---|
| მუხლი „სარეზერვო ფონდი“ აყვანილია დაცული მუხლების კატეგორიაში და ყველა სხვა ხარჯვითი მუხლის ფორმირება მოხდა ამ დათქმის გათვალისწინებით.<br>როგორც ბიუჯეტის პროექტიდან ჩანს (დანართი N7.4.1), სარეზერვო ფონდისა და სხვა მუხლების დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და შედგება:<br>• სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური;<br>• კვლევითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;<br>• კაპიტალის ზრდა (პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანები);<br>• ტრენინგები, გადასამზადებელი კურსები და სხვა შემოსავლები.<br>ასევე, ბიუჯეტის ფორმებში ნათლად ჩანს, რომ მიმდინარე სასწავლო პროცესების ადმინისტრირებისას უნივერსიტეტის პარტნიორების მხრიდან კაპიტალის ზრდის აუცილებლობა არ არსებობს, გარდა 2024 წლისა, როდესაც უნივერსიტეტი საკუთარი კლინიკის შეძენას გეგმავს. ამის მიუხედავად, ყველა ფორსმაჟორული ვითარების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში პარტნიორების ვალდებულებაა მოახდინონ შექმნილი დეფიციტის დაფინანსება სარეზერვო ფონდისგან დამოუკიდებლადაც, რაც ნებისმიერი რისკის მინიმუმამდე დაყვანას უზრუნველყოფს.<br>2022-2024 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საშუალო რაოდენობაზე ზრდისა და უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით, რაც წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით საკმაოდ კონსერვატიულია. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებითაც კი, სარეზერვო ფონდში მისამართი თანხების მხედველობაში მიღებით უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ფულადი ნაკადების აკუმულირება შეეძლება, რაშიც ვრწმუნდებით 2022-2024 წლის საპროგნოზო მოგება-ზარალის, ბალანსის, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის და ნულოვანი მოგების მარჟის ანალიზის მიხედვით **(დანართი N7.4.2)**<br>ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს ნათელ სურათს, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობა იქნება კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფილი. |
| **მტკიცებულებები** |
| • ბიუჯეტი 2022-2024 წწ **(დანართი 7.4.1.)**<br>• ფინანსური ანგარიშგებები **(დანართი 7.4.2.)** |

# 4. დანართები

გთხოვთ წარმოადგინოთ მტკიცებულებების ველში მითითებული დოკუმენტაცია

### წარდგენილი დანართების რუკა

| N | მტკიცებულებების ველში მითითებული დოკუმენტაცია | დანართი № |
|---|---|---|
| 1 | **სამოქმედო გეგმა 2022-2024** | **დანართი 1.2.1** |
| 2 | **აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო პროექტების/ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციები** | **დანართი 2.1.1.1** |

| | | |
|---|---|---|
| 3 | მემორანდუმები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან | დანართი 2.1.1.2 |
| 4 | დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა | დანართი 3.2.1 |
| 5 | სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია | დანართი იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი/ |
| 6 | UCL Medical School (UCLMS) Proposal | დანართი 3.3.3.1 |
| 7 | აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია | დანართი 4.2.1 |
| 8 | EEU-ს სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისების წესი | დანართი 6.1.4.1 |
| 9 | სტუდენტური კლუბის დებულება | დანართი 6.1.4.2 |
| 10 | სტუდენტური პროექტებისა დაფინანსების წესი | დანართი 6.1.4.3 |
| 11 | განხორციელებული კვლევითი აქტივობები აფილირებული პერსონალის ჩართულობით (2021 წლის ივნისი - 2022 წლის მაისი) | დანართი 6.1.4.4 |
| 12 | შესყიდვის დოკუმენტაცია | დანართი 7.1.1.1 |
| 13 | ფოტო-მასალა | დანართი იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/md-activities/ |
| 14 | ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია | დანართი იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/ბიბლიოთეკა/eeulib/ |
| 15 | ბიუჯეტი 2022-2024 წწ | დანართი 7.4.1 |
| 16 | ფინანსური ანგარიშგებები | დანართი 7.4.2 |